



საერთაშორისო სატრანსპორტო
ფორუმი

ტბაკ-ის მრავალმხრივი კვლავ
მომხმარებლის სახელმძღვანელო

IRU

იანვარი, 2014 წელი

საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმის (სსფ)

პუბლიკაცია საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტის კავშირთან (სსტკ)
თანამშრომლობით

**დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილი უნდა
იყოს სატვირთო ავტომობილის ბორტზე**

დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილი უნდა იყოს ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალების ბორტზე

❖ საადრიცხო წიგნი, რეგისტრაციის ქვეყნის ენაზე, დანომრილი მისი გამცემი კომპეტენტური ორგანოების მიერ, შემდეგი დოკუმენტების გათვალისწინებით:

❖ ტმეკ-ის ნებართვა, ჯეროვნად შევსებული, ერთწლიანი ან მოკლევადიანი (მოქმედი 30 დღის განმავლობაში), აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორიისთვის შესაბამის შტამ-კვებთან ერთად (“EURO IV უსაფრთხო”, “EURO V უსაფრთხო” ან “EURO VI უსაფრთხო”) და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონკრეტულ ტერიტორიებზე მისი არაქმედუნარიანობის მითითებით (A, GR, H, I, RUS). მოკლევადიანი ნებართვა ძალაშია მხოლოდ 30 დღის განმავლობაში.

❖ გამონაბოლქვსა და ხმაურთან დაკავშირებულ ტექნიკურ პირობებთან, ასევე ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან “EURO IV უსაფრთხო”, “EURO V უსაფრთხო”, “EEV უსაფრთხო” ან “EURO VI უსაფრთხო” უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი (სახელმძღვანელოს დანართი 4), შევსებული ოთხიდან ერთი ერთ ენაზე (რეგისტრაციის ქვეყნის ენაზე, ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად), აღნიშნული ენებიდან მინიმუმ ორ სხვა ენაზე თარგმანის თანხლებით (სერტიფიკატების ბლანკის ტექსტი). სერტიფიკატები უნდა დაინომროს წვერი ქვეყნის მიერ ისე, რომ შექმნას თანმიმდევრული სერია. სახელმწიფო ორგანოს შეუძლია უშუალოდ შეასრულოს ნუმერაცია ან გადასცეს აღნიშნული უფლებამოსილება მწარმოებლებს, თუმცა ორივე შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანო პასუხს აგებს სერტიფიკატის ნუმერაციის „მონიტორინგის“ შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე, თითოეული სერტიფიკატის იდენტიფიცირების მიზნით.

- გამონაბოლქვსა და ხმაურთან დაკავშირებულ ტექნიკურ პირობებთან შესატყვისობის სერტიფიკატები და 2008 წლის 31 დეკემბრამდე გაცემული „EURO III უსაფრთხო“ ან „EURO IV უსაფრთხო“ კატეგორიის სატვირთო ავტომობილის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატები (2006 წლის სახელმძღვანელოს 6A, 7A, 6B და 7B დანართების მიხედვით) რჩება ძალაში;

- გამონაბოლქვსა და ხმაურთან დაკავშირებულ ტექნიკურ პირობებთან შესატყვისობის სერტიფიკატები და 2008 წლის 31 დეკემბრამდე გაცემული „EURO V უსაფრთხო“ კატეგორიის სატვირთო ავტომობილის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატები [ITF/TMB/TR/(2008)4] რჩება ძალაში;

- გამონაბოლქვსა და ხმაურთან დაკავშირებულ ტექნიკურ პირობებთან შესატყვისობის სერტიფიკატები და 2013 წლის 31 დეკემბრამდე გაცემული „EURO III უსაფრთხო“, „EURO IV უსაფრთხო“ ან „EURO V უსაფრთხო“ კატეგორიის ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატები (2009 წლის სახელმძღვანელოს მე-4 დანართის მიხედვით) რჩება ძალაში;

- ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც პირველად იქნა რეგისტრირებული დირექტივაში ან რეგლამენტში ცვლილების შეტანამდე, სახელმძღვანელოში მითითებისამებრ, უნდა აკმაყოფილებდნენ დირექტივის ან რეგლამენტის აღნიშნული დროისთვის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

- 2014 წლის 1 იანვრიდან გამოყენებულ უნდა იქნას წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-4 დანართით გათვალისწინებული სერტიფიკატები.

❖ მისაბმელის ან ნახევარმისაბმელის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი (სახელმძღვანელოს დანართი 5), შევსებული ოთხიდან ერთი ერთ ენაზე (მარეგისტრირებელი ქვეყნის ენაზე, ფრანგულად, ინგლისურად,

გერმანულად), აღნიშნული ენებიდან მინიმუმ ორ სხვა ენაზე თარგმანის თანხლებით (სერტიფიკატების ბლანკის ტექსტი). სერტიფიკატები უნდა დაინომროს წევრი ქვეყნის მიერ ისე, რომ შექმნას თანმიმდევრული სერია. სახელმწიფო ორგანოს შემუშავებული უშუალოდ შესარჩევის ნუმერაცია ან გადასცეს აღნიშნული უფლებამოსილება მწარმოებლებს, თუმცა ორივე შემთხვევაში სახელმწიფო ორგანო პასუხს აგებს სერტიფიკატის ნუმერაციის მონიტორინგის" შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე თითოეული სერტიფიკატის იდენტიფიცირების მიზნით.

- 2013 წლის 31 დეკემბრამდე გაცემული სერტიფიკატები რჩება ძალაში. ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც პირველად იქნა რეგისტრირებული დირექტივაში ან რეგლამენტში ცვლილების შეტანამდე, სახელმძღვანელოში მითითებისამებრ, უნდა აკმაყოფილებდეს დირექტივის ან რეგლამენტის აღნიშნული დროისთვის მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- 2014 წლის 1 იანვრიდან გამოყენებულ უნდა იქნას წინამდებარე სახელმძღვანელოს მე-5 დანართით გათვალისწინებული სერტიფიკატები.

❖ მისაბმელიანი ან ნახევარმისაბმელიანი ბრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობის ტესტი (სახელმძღვანელოს დანართი 6), შეესაბამება ოთხიდან ერთერთ ენაზე (მარეგისტრირებელი ქვეყნის ენაზე, ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად), აღნიშნული ენებიდან მინიმუმ ორ სხვა ენაზე თარგმანის თანხლებით (სერტიფიკატების ბლანკის ტექსტი). ყველა სერტიფიკატი დაინომრება კომპეტენტური ორგანოს მიერ რეგისტრაციის ქვეყანაში.

- ვინაიდან ავტოსატრანსპორტო საშუალების პირველი რეგისტრაციის თარიღი არ არის მითითებული ნებისმიერ ECMT სერტიფიკატში და ყოველთვის არ არის მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო დოკუმენტში, ყველა სატრანსპორტო საშუალებამ, იმის მიუხედავად „ახალი“ იქნება თუ „ძველი“, უნდა იქონიოს სერტიფიკატი ბორტზე ერთგვაროვანი, სწრაფი და მარტივი კონტროლის სისტემის უზრუნველყოფის მიზნით.
- 2013 წელს შეესაბამებოდა გზისთვის ვარგისობის სერტიფიკატები ძალაში რჩება 12 თვის განმავლობაში და იმ თვის ბოლომდე, როდესაც უნდა მოხდეს მათი განახლება. 2014 წლის 1 იანვრიდან გამოიყენება ახალი ფორმები (სახელმძღვანელოს მე-6 დანართი).
- იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული შესატყვისობის სერტიფიკატები გაცემულია 2013 წლის 31 დეკემბრამდე, გზისთვის ვარგისობის ტესტის განმავლობაში დადასტურდება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალება იქნა აღჭურვილი იმ დირექტივების ჩამოთვლილი რედაქციების შესაბამისად, რომლებიც ძალაში იყო ავტოსატრანსპორტო საშუალების პირველი რეგისტრაციის დროს.

ყურადღება

1. "EEV უსაფრთხო" კატეგორიის სატვირთო ავტომობილები არ განიხილება ტმეკ-ის მრავალმხრივი კვლევის ცალკე კატეგორიად. "EEV უსაფრთხო" კატეგორიის სატვირთო ავტომობილის, რომელიც ოპერირებს ტმეკ-ის მრავალმხრივი ნებართვით, უნდა ჰქონდეს ტმეკ-ის ნებართვა "EURO V უსაფრთხო" კატეგორიისთვის.
2. "EURO III უსაფრთხო" სატვირთო ავტომობილის კატეგორია დაცული იქნება მრავალმხრივი კვლევაში ორწლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, მხოლოდ 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

ყველა სერტიფიკატის „შეესვენასთან“ დაკავშირებული ზოგადი პრაქტიკა

ყველა სერტიფიკატი უნდა იქნას შევსებული ჯეროვნად და მოეწეროს ხელი. ისინი არ ჩაითვლება მოქმედებად, თუ სერტიფიკატში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია ან ზოგიერთი პუნქტი. აღნიშნული წესიდან გამონაკლისებია:

- „უკანა დამცავი მოწყობილობა“ და „გვერდითი დამცავი მოწყობილობა“ მე-4 და მე-5 დანართებში: როგორც შესაბამის სქოლიოშია მითითებული, აღნიშნული პუნქტები არ არის მოთხოვნილი მასხვარქმისამშენებლის საწევარებისთვის.

ამ შემთხვევაში რეკომენდებულია ამ პუნქტების გადახაზვა, ვიდრე მათი შეუვსებელი სახით დატოვება.

მე-4 და მე-5 დანართებში წარმოდგენილი სერტიფიკატები შესაძლებელია შეივსოს და ხელი მოეწეროს სკანერის ან ფაქსიმილეს მეშვეობით.

ტმეკ-ის მრავალმხრივი კვოტა
მომხმარებლის სახელმძღვანელო

ტმეკ-ის მწველ მხრივი კვლავი
მომხმარებლის სახელმძღვანელო
სარჩევი

შესავალი	9
თავი 1: განმარტებები	10
თავი 2: ლიბერალიზებული გადაზიდვები	12
თავი 3: ტმეკ-ის ნებართვების გაცემა და შეზღუდვები	14
თავი 4: ტმეკ-ის ნებართვების გამოყენება	17
თავი 5: სააღრიცხვო წიგნი	18
თავი 6: ქმედუნარიანობა და ჩამორთმევა	20
თავი 7: გაუქმება და შეცვლა	22
თავი 8: ურთიერთდახმარება	23
თავი 9: “EURO IV უსაფრთხო” კატეგორიის სატვირთო ავტომობილების სქემა	24
თავი 10: “EURO V უსაფრთხო” კატეგორიის სატვირთო ავტომობილების სქემა	27
10bis: “EEV უსაფრთხო” კატეგორიის ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული მოთხოვნები	32
თავი 11: “EURO VI უსაფრთხო” კატეგორიის სატვირთო ავტომობილების სქემა	35
დანართი 1: ტმეკ-ის ერთწლიანი ნებართვის ნიმუში	39
ტმეკ-ის მოკლევადიანი ნებართვის ნიმუში	39
დანართი 2: ადგილმონაცვლე პირთა კუთვნილი პირების საერთაშორისო გადაზიდვის ნებართვის ნიმუში	49
დანართი 3: შტამპები, რომლებიც შესაძლებელია წარმოდგენილი იქნას ნებართვებზე	60
დანართი 4: “EURO IV უსაფრთხო”, “EURO V უსაფრთხო”, “EEV უსაფრთხო” ან “EURO VI უსაფრთხო” კატეგორიის ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილი სერტიფიკატების ნიმუშები	61
დანართი 5: მისაბმელის უსაფრთხოების სერტიფიკატის ნიმუში	65
დანართი 6: ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მისაბმელების გზისთვის ვარგისობის სერტიფიკატის ნიმუში	68

დანართი 7:	საადრეგზო წიგნის პირველი სამი გვერდის ნიმუში	71
დანართი 8:	“EURO III უსაფრთხო”, “EURO IV უსაფრთხო”, “EURO V უსაფრთხო”, “EEV უსაფრთხო” ან “EURO VI უსაფრთხო” კატეგორიის სატვირთო ავტომობილების სტიკერების ნიმუშები	75
დამატება:	ა) “EURO III უსაფრთხო” კატეგორიის სატვირთო ავტომობილის სქემა	78
	ბ) “EURO III უსაფრთხო”, “EURO IV უსაფრთხო” ან “EURO V უსაფრთხო” კატეგორიის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების სერტიფიკატის ნიმუში	83
	გ) „უფრო მწვანე და უსაფრთხო“ და „მწვანე“ კატეგორიის სატვირთო ავტომობილების სერტიფიკატების ნიმუში	87

ყრადღება

- 2014 წლის 1 იანვრიდან წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ყველა სერტიფიკატის ნიმუში აუქმებს და ანაცვლებს სახელმძღვანელოს წინა რედაქციებში წარმოდგენილ ძველ სერტიფიკატებს.
- “EURO III უსაფრთხო” კატეგორიის სატვირთო ავტომობილის სქემა და “EURO III უსაფრთხო”, “EURO IV უსაფრთხო” ან “EURO V უსაფრთხო” კატეგორიის ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებების, „უფრო მწვანე და უსაფრთხო“ და „მწვანე“ კატეგორიის სატვირთო ავტომობილების სერტიფიკატების ნიმუშები წარმოდგენილია დამატებაში მხოლოდ საინფორმაციო მიზნით.

შესავალი¹

1953 წელს მისი შექმნის პირველივე დღიდანვე, ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენცია (ტმეკ) ყოველთვის დიდ ძალისხმევას იჩენდა და იჩენს საერთაშორისო სახელმწიფო ტრანსპორტის განვითარებისა და შესაბამის ბაზრებზე მისი ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის.

1974 წლის I იანვარს შემოღებული გადაზიდვების ნებართვათა მრავალმხრივი კვოტა მინისტრთა საბჭომ აღიარა, როგორც პრაქტიკული ნაბიჯი საგზაო სატვირთო გადაზიდვების ეტაპობრივი ლიბერალიზაციისკენ, რომლის მიღწევა შესაძლებელი იყო მხოლოდ წევრი ქვეყნების ერთობლივი ძალისხმევით, რათა მოეხდინათ კონკურენციის პირობების ჰარმონიზაცია, როგორც სხვადასხვა ქვეყნის საავტომობილო გადაზიდვებებს, ასევე ტრანსპორტის სახეობებს შორის.

“მწვანე” სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის ხმაურისა და გამონახოლქვის სტანდარტების დანერგვით, აგრეთვე “უფრო მწვანე და უსაფრთხო” სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის და თანმიმდევრულად „EURO III უსაფრთხო“, „EURO IV უსაფრთხო“, „EURO V უსაფრთხო“ და ახლახან “EURO VI უსაფრთხო” სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის უფრო მკაცრი გამონახოლქვისა და უსაფრთხოების ნორმების შემოღებით, მრავალმხრივი კვოტა ხელს უწყობს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას და უზრუნველყოფს მათ მდგრად მობილურობას.

ნებართვათა მრავალმხრივობა უზრუნველყოფს ავტოსატრანსპორტო საშუალებათა უფრო რაციონალურ გამოყენებას, ამცირებს რა მათი დაუტვირთავი გარბენების რიცხვს.

2006 წლის 17 და 18 მაისს დუბლინში გამართულ მინისტერიალზე ტმეკ-ის მინისტრთა საბჭომ მიიღო დეკლარაცია, რომლის საფუძველზეც ტმეკ გახდა საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმი (სსფ).

თუმცა, მრავალმხრივი კვოტების სისტემა ფუნქციონირებას განაგრძობს, როგორც ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის ნებართვათა მრავალმხრივი კვოტის სისტემა, ტმეკ-ის წევრი წევრებისთვის პირველ თავში მოყვანილი განმარტებების შენარჩუნებით.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, რომელიც განკუთვნილია ტმეკ-ის მრავალმხრივი ნებართვების მფლობელი გადაზიდვებებისათვის და კვოტების მართვაში მონაწილე თანამდებობის პირებისათვის, მოკლედ არის აღწერილი ნებართვების ძირითადი მახასიათებლები, აგრეთვე მათი გამოყენების სფერო და პირობები.

¹ საგზაო გადაზიდვის შესახებ სსფ ოჯგუფმა მის შეხვედრაზე, რომელიც 2013 წლის 19-20 სექტემბერს გაიმართა, აღიარა შესავალი მითითებული სახელმძღვანელოს ცვლილების შექმნილობის ფლობის მნიშვნელობა; აღნიშნულის შემუშავება მოხდება შემდგომ ეტაპზე.

1. განმარტებები

მუქი შრიფტით გამოყოფილი ტერმინები განიმარტება შემდეგნაირად:

- **ტმეკ:** ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენცია, სამთავრობათშორისო ორგანიზაცია, დაფუძნებული 1953 წელს.

- **წვერი ქვეყანა** – ტმეკ-ის კვოტის სისტემის მონაწილე ქვეყანა.

2009 წლის 01 იანვრის მდგომარეობით, კვოტის სისტემაში მონაწილეობენ შემდეგი წვერი ქვეყნები: ალბანეთი, სომხეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსია, ბელგია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, მაკედონია, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტეინი, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, მოლდავეთი, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, თურქეთი, უკრაინა და გაერთიანებული სამეფო.

- **მესამე სახელმწიფო:** ქვეყანა, რომელიც არ წარმოადგენს ტმეკ-ის კვოტის სისტემის წევრს.

- **რეგისტრაციის ქვეყანა:** ქვეყანა, სადაც რეგისტრირებულია ავტოსატრანსპორტო საშუალება. ეს ასევე მითითებულია ავტოსატრანსპორტო საშუალების საწომრე ნომერზე.

- **ნებართვა:** ნებართვა, რომელიც ქმედუნარიანია დროის განსაზღვრულ მონაკვეთში წვერ ქვეყნებს შორის 3.16 პუნქტში მითითებული რაოდენობით რეისების განხორციელებისათვის და რომელსაც თან ახლავს სათანადოდ შევსებული საღარიგბო წიგნი.

- **კომპეტენტური ორგანო:** უწყება ან ორგანო წვერ ქვეყანაში, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს წინამდებარე სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული საქმიანობა.

- **მრავალმხრივი ხასიათი:** ნებართვის გამოყენების შესაძლებლობა არა მხოლოდ სატრანსპორტო კომპანიის დაფუძნების ქვეყანაში, არამედ წვერ ქვეყნებს შორის რეისების განხორციელებისათვის.

- **საღარიგბო წიგნი:** ჩანაწერი, რომელიც წარმოადგენს ნებართვის განუყოფელ ნაწილს და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შეიცავს ინფორმაციას შესაბამისი ნებართვით შესრულებული სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ, დატვირთული და დაუტვირთავი ვარგენტების ჩათვლით. ეს ინფორმაცია გამოყენებული უნდა იქნეს ნებართვითა გამოყენების გასაკონტროლებლად.

- **საერთაშორისო გადაზიდვა:** დატვირთული ან დაუტვირთავი ავტოსატრანსპორტო საშუალების რეისი, როდესაც გასვლისა და დანიშნულების პუნქტები მდებარეობენ ორ სხვადასხვა წვერ ქვეყანაში, ერთ ან მეტ წვერ ან არაწვერ ქვეყანაში ტრანზიტული გადაადგილებით ან მის გარეშე.

- **გადაზიდვა დაქირავებით ან ანაზღაურებით:** გადაზიდვა, რომელიც სრულდება სატრანსპორტო კომპანიის მიერ ანაზღაურების საფუძველზე.

- **გადაზიდვა საკუთარი ხარჯით:** გადაზიდვა, რომელიც არ ხორციელდება დაქირავებით ან ანაზღაურების საფუძველზე და დასტურდება ავტოსატრანსპორტო საშუალების ბორტზე შენახული სპეციალური დოკუმენტაციით.

- **კაბოტაჟი:** ავტოსატრანსპორტო ოპერაცია, როდესაც ტვირთის დატვირთვა და

გადმოტვირთვა სრულდება ერთი ქვეყნის ტერიტორიის ორ სხვადასხვა პუნქტში, ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომელიც რეგისტრირებულია სხვა ქვეყანაში.

- **პერიოდული გადაზიდვები:** ექსკლუზიური გადაზიდვები ორ წევრ ქვეყანას შორის რეგისტრაციის ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

- **სატრანსპორტო კომპანია (სატრანსპორტო ოპერატორი, გადაზიდველი, სატვირთო გადაზიდველი):** ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ასრულებს საერთაშორისო სატვირთო საავტომობილო გადაზიდველის ფუნქციას და უფლებამოსილია განახორციელოს საერთაშორისო სატრანსპორტო ოპერაციები რეგისტრაციის ქვეყნის კომპონენტური ორგანოს მიერ.

- **ტრანზიტ:** გადაზიდვის განხორციელება იმ ქვეყნის ტერიტორიის გავლით, სადაც არ ხდება ტვირთის დატვირთვა ან გადმოტვირთვა.

- **ავტოსატრანსპორტო საშუალება:** წევრ ქვეყანაში რეგისტრირებული ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება, ან სატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებული კომბინაცია, სადაც ძრავიანი სატრანსპორტო საშუალება მანინგ არის რეგისტრირებული წევრ ქვეყანაში და ექსკლუზიურად განკუთვნილია ტვირთის გადასაზიდად. ავტოსატრანსპორტო საშუალება შესაძლოა იყოს სატრანსპორტო კომპანიის საკუთრება ან იყოს კომპანიის განკარგვაში იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულების სასფუძველზე.

- **დაქირავებული ავტოსატრანსპორტო საშუალება:** ნებისმიერი ავტოსატრანსპორტო საშუალება, რომელიც ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელ კომპანიასთან დადებული ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში არის სატრანსპორტო კომპანიის მფლობელობაში, რომელიც იჯარით, ანაზღაურებით ან საკუთარი ხარჯით ახორციელებს სატვირთო საავტომობილო გადაზიდვებს.

- **მისაბმელი:** ტვირთის გადასაზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალება ძრავის გარეშე, რომელიც განკუთვნილია ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მისაბმელად. ეს ტერმინი არ ვრცელდება ნახევარმისაბმელებზე.

- **ნახევარმისაბმელი:** ტვირთის გადასაზიდი ავტოსატრანსპორტო საშუალება ძრავის გარეშე, რომელიც განკუთვნილია ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მისაბმელად ისე, რომ მისი და ტვირთის მასის ძირითადი ნაწილი ეყრდნობა ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებას.

- **საბაზისო კვოტა:** წევრი ქვეყნისთვის გამოყოფილი კვოტა.

- **კვოტა:** ნებართვების რაოდენობა, რომელიც ყოველწლიურად გამოეყოფა ტმეკ-ის წევრ ქვეყანას. კვოტების გაანგარიშების პრინციპებს ადგენს საავტომობილო ტრანსპორტის ჯგუფი და ამტკიცებენ მინისტრები.

- **სამდივნო:** საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმის (სსფ) სამდივნო.

- **დამფუძნებელი ქვეყანა (სახელმწიფო) -** წევრი ქვეყანა, სადაც გადაზიდველი ან საავტომობილო გადაზიდვების კომპანია დაფუძნდა სამართლებრივ საფუძველზე.

2. ლიბერალიზებული გადაზიდვები

საერთაშორისო გადაზიდვების ხელშეწყობისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების უკეთ გამოყენების მიზნით, *მრავალმხრივი და ორმხრივი ნებაართების მოთხოვნებისაგან განთავისუფლებულია* შემდეგი კატეგორიის გადაზიდვები:

- 1) ტვირთის გადაზიდვა მრავიანი სატრანსპორტო საშუალებით, რომლის დასაშვები სრული მასა, მისაბმელის ჩათვლით, არ აღემატება 3.5 ტონას.²
- 2) აეროპორტებიდან ან აეროპორტებამდე ტვირთის არარეგულარული გადაზიდვა, ფრენის მარშრუტის ცვლილების შემთხვევაში.³
- 3) დაზიანებული ან მწყობრიდან გამოსული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაზიდვა და ავარიული სარემონტო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება.
- 4) სხვა ქვეყანაში მწყობრიდან გამოსული ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაცვლელად გაგზავნილი დაუტვირთავი სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობა და ასევე დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების უკან დაბრუნება შეკეთების შემდეგ.
- 5) საქონლის ტრანსპორტირება სპეციალურად აღჭურვილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც აღიარებული უნდა იყოს ამ მიზნებისათვის ვარგისად დაინტერესებული წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოების მიერ.⁴
- 6) საზღვაო და საავიაციო ხომალდებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და სურსათის ტრანსპორტირება.⁵
- 7) გადაუდებელი სიტუაციებისათვის საჭირო სამედიცინო მასალებისა და აღჭურვილობების გადაზიდვა, კერძოდ სტიქიური უბედურობების დროს და ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით.
- 8) ხელოვნების ნიმუშებისა და საგნების ტრანსპორტირება გამოფენებისა და ბაზრობებისათვის არაკომერციული მიზნით.⁶
- 9) არაკომერციული მიზნით ნივთების, დეკორაციებისა და ცხოველების ტრანსპორტირება ორივე მიმართულებით, თეატრალური, მუსიკალური, კინემატოგრაფიული, სპორტული, საცირკო ან საზაზრო წარმოდგენებისათვის, გამოფენებისა და ფესტივალების გამართვისათვის, აგრეთვე რადიოგადაცემების ჩაწერისათვის ან კინო და ტელეპროდუქციის წარმოებისათვის.⁷
- 10) ტვირთის გადაზიდვები საკუთარი ხარჯით.⁸
- 11) ცხედრების გადასვენება სპეციალური სატრანსპორტო საშუალებებით.

¹ იტალიამ გააკეთა დათქმა პირველი პუნქტის მიმართ.

² გერმანიამ და რუსეთის ფედერაციამ გააკეთეს დათქმა მე-2 პუნქტის მიმართ.

³ ავსტრიამ, ბულგარეთმა, ჩეხეთის რესპუბლიკამ, ესტონეთმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, უნგრეთმა, იტალიამ, პოლონეთმა, რუსეთის ფედერაციამ და შვეიცარიამ გააკეთეს დათქმა მე-5 პუნქტის მიმართ.

⁴ ჩეხეთის რესპუბლიკამ, გერმანიამ და რუსეთის ფედერაციამ გააკეთეს დათქმა მე-6 პუნქტის მიმართ.

⁵ გერმანიამ გააკეთა დათქმა მე-8 პუნქტის მიმართ.

⁶ გერმანიამ გააკეთა დათქმა მე-9 პუნქტის მიმართ.

⁷ ავსტრიამ, ბელარუსიამ, ბულგარეთმა, ჩეხეთის რესპუბლიკამ, ესტონეთმა, ფინეთმა, საფრანგეთმა, უნგრეთმა, იტალიამ, ლიტვამ, პოლონეთმა, რუსეთის ფედერაციამ, შვედეთმა და თურქეთმა გააკეთეს დათქმა მე-10 პუნქტის მიმართ.

- 12) საფოსტო გადაზიდვები კონტაინერში მომთავსურების წესით.⁹
- 13) ახლად შემენილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება ტვირთვის გარეშე მათი საბოლოო დანიშნულების ადგილამდე.¹⁰

განსაკუთრებული შემთხვევები:

ადგილმონაცვლე პირთა კუთვნილი ნივთების საერთაშორისო გადაზიდვა არ ექვემდებარება კვოტას, მაგრამ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას. ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს №2 დანართში მოყვანილი ტმეკ-ის ნებართვის ნიმუში.

⁹ავსტრიამ და იტალიამ გააკეთეს დათქმა მე-12 პუნქტის მიმართ.

¹⁰ფინეთმა გააკეთა დათქმა მე-13 პუნქტის მიმართ.

3. ტმეკ-ის ნებართვების გაცემა და შეზღუდვები

3.1. ტმეკ-ის ნებართვები (იხილეთ დანართი 1) წარმოადგენს მრავალმხრივ ნებართვებს, რომლებიც კვოტების სისტემის საფუძველზე გაიცემა საერთაშორისო სატრანსპორტო ფორუმის/ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის მიერ და განკუთვნილია ტმეკ-ის წევრ ქვეყანაში რეგისტრირებული სატრანსპორტო კომპანიებისთვის, საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების განხორციელებისათვის დაქირავებით ან ანაზღაურებით:

- ტმეკ-ის წევრ ქვეყნებს შორის; და
- ერთ ან რამდენიმე ტმეკ-ის წევრი ქვეყნის ტერიტორიის ტრანზიტით გავლით წევრ ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.

3.2. ნებართვა არ მოქმედებს ისეთ სატრანსპორტო ოპერაციებში, რომლებიც სრულდება წევრ ქვეყანასა და მესამე ქვეყანას შორის. მაგალითად, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალება ახორციელებს გადაზიდვებს ნორვეგიიდან (კვოტების სისტემაში ჩართული, ტმეკ-ის წევრი ქვეყანა) ირანში (ტმეკ-ის არაწევრი, თუმცა ტმეკ-ის წევრი ქვეყნის მეზობელი), როგორც საბოლოო დანიშნულების ქვეყანაში, მას არ შეუძლია გამოიყენოს ტმეკ-ის ნებართვა ამგვარი გადაზიდვისთვის.

3.3. ტმეკ-ის ნებართვები ქმედუნარიანია, თუ გადაზიდვა ხორციელდება ტრანზიტით, მესამე ქვეყნის გავლით (მაგალითად, ნორვეგიაში დატვირთული საქონელი, რომელიც უნდა გადმოიტვირთოს რუსეთში, გადაიზიდება ირანის ტერიტორიის ტრანზიტით გავლით).

3.4. თუ ტვირთის გადაზიდვა ხორციელდება ტმეკ-ის წევრი ქვეყნის გავლით, სადაც ტმეკ-ის ნებართვის გამოყენება შეზღუდულია, ასეთი ქვეყნის ტერიტორიაზე გავლა შესაძლებელია ტრანზიტით ორმხრივი ნებართვებით, ევროგაერთიანების ნებართვებით ან ტრანსპორტირების სხვა საშუალების ("მგორავი გზა" - რკინიგზა) გამოყენებით; ასეთ დროს ტმეკ-ის ნებართვა უნდა ინახებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის პუნქტიდან გადმოტვირთვის პუნქტამდე.

3.5. არსებობს მწვანე ფერის, ერთწლიანი ნებართვა, რომელიც ძალაშია ერთი კალენდარული წლის განმავლობაში (პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) და 30 დღის განმავლობაში მოქმედი ყვითელი ფერის მოკლევადიანი ნებართვა შტამპით „მოკლევადიანი ნებართვა“.

3.6. ტმეკ-ის ნებართვას, საავტომობილო სატრანსპორტო კომპანიებზე ეროვნული კრიტერიუმების საფუძველზე გასცემს რეგისტრაციის ქვეყნის კომპეტენტური ორგანო, რომელიც აღიარებს მათ უფლებამოსილებას შესარულონ გადაზიდვის ოპერატორის საქმიანობა. ნებართვაში არ არის აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციის ნომერი და მას თან უნდა ერთვოდეს საალრიცხოო წიგანი.

3.7. ტმეკარიმეკონკრეტულ გადასახადსარუწებსწევრქვეყნებსნებართვებისთვის. შესაბამისად, გადასახადის ოდენობას, რომელსაც გადაზიდველი იხდის ტმეკ-ის ნებართვისთვის, განსაზღვრავს წევრი ქვეყანა ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე.

ნებართვების მოქმედების სფერო და შეზღუდვები

3.8. ტმეკ-ის წევრი ქვეყნები აღიარებენ სხვა წევრი ქვეყნების მიერ გაცემული და წინამდებარე სახელმძღვანელოს დებულებათა შესაბამისად გამოყენებული ნებართვების ქმედუნარიანობას, ქვემოთ მოყვანილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

3.9. ნებართვაზე თავისუფალი ადგილის სიმცირის გამო, გადაწყვედა, რომ მოქმედების ვადები შეივსოს არაბუნებრივი ციფრებით. თვე კი ჩაიწეროს სრულად მშობლიურ და ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე, აუცილებლობის შემთხვევაში, ან მხოლოდ ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე.

ზოგადი შეზღუდვები

3.10. წინამდებარე დოკუმენტის 3.12 და 3.14 პუნქტებში აღნიშნული შტამები მითითებულ უნდა იქნას ნებართვის გამცემი ეროვნული კომპეტენტური ორგანოს მიერ, ნებართვის პირველ გვერდზე სასურველია მარჯვენა კიდეზე.

3.11. იმ შემთხვევაში, თუ რეისი ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებული კომბინაციით, ნებართვა მიღებული უნდა იყოს იმ ქვეყნის კომპეტენტური ორგანოსაგან, სადაც რეგისტრირებულია საწვეარი, აღნიშნული ნებართვა ვრცელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შეწყვილებულ კომბინაციაზე მთლიანად იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისამბელი ან ნახევარმისამბელი არ არის რეგისტრირებული ნებართვის მფლობელის სახელზე ან რეგისტრირებულია სხვა წევრ ქვეყანაში.

ტერიტორიული შეზღუდვები

3.12. ზოგიერთი ნებართვა არ გამოიყენება ცალკეული წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე და ამის აღსანიშნად ნებართვაზე დატანილია წითელი ფერის შტამი. კერძოდ, ნებართვა, რომელზეც დატანილია წითელი ფერის შტამი ავსტრიის, საბერძნეთის, უნგრეთის, იტალიის ან რუსეთის ქვეყნის კოდით (იხილეთ დანართი 3) არ მოქმედებს შესაბამისი წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე.

3.13. მოკლევადიანი ნებართვები არ მოქმედებს ავსტრიის ტერიტორიაზე.

ტექნიკური შეზღუდვები

3.14. ზოგიერთი ნებართვა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის:

3.14.1. „EURO IV უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება (იხილეთ თავი 9, რომელიც ეხება „EURO IV უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების სქემას). ამ შემთხვევაში ნებართვაზე დაისმევა სპეციალური მწვანე შტამი ციფრით „IV“ ცენტრში (იხილეთ დანართი 3).

3.14.2. „EURO V უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება (იხილეთ თავი 10, რომელიც ეხება „EURO V უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების სქემას). ამ შემთხვევაში ნებართვაზე დაისმევა სპეციალური მწვანე შტამი ციფრით „V“ ცენტრში (იხილეთ დანართი 3).

3.14.3. „EURO VI უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალება (იხილეთ თავი 11, რომელიც ეხება „EURO VI უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების სქემას). ამ შემთხვევაში ნებართვაზე დაისმევა სპეციალური მწვანე შტამი ციფრით „VI“ ცენტრში (იხილეთ დანართი 3).¹¹

3.15. იმის დასამოწმებლად, რომ რეგისტრაციის ქვეყანაში დაბრუნება მოხდა ტრანზიტული ქვეყნის გავლით, მძღოლმა უნდა ჩაწეროს კონკრეტული სატრანსპორტო

¹¹ სპეციალური მწვანე შტამი ციფრით „III“ ცენტრში (იხილეთ დანართი 3), რომელიც აღნიშნავს „EURO III უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების კატეგორიას, შეიძლება გამოიყენებულ იქნას ორწლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

ოპერაციისთვის განკუთვნილ „სპეციალური შენიშვნების“ სვეტში მთავრული ასო „T“ და ავტოსატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის დრო და ადგილი.

3.16. 2006 წლის 1 იანვრიდან, ტმეკ-ის ნებართვებით სატრანსპორტო ოპერაციების შესრულება დაშვებულია შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- პირველი დატვირთული რეისის შემდეგ, რეგისტრაციის წევრ ქვეყანასა და სხვა წევრ ქვეყანას შორის;
- გადაზიდველს უფლება აქვს შეასრულოს მაქსიმუმ სამი დატვირთული რეისი რეგისტრაციის ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
- მაქსიმუმ სამი დატვირთული რეისის შემდეგ, ავტოსატრანსპორტო საშუალება, დატვირთულ ან დაუტვირთავ მდგომარეობაში, უნდა დაბრუნდეს რეგისტრაციის ქვეყანაში.

რეგისტრაციის ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაუტვირთავი გარბენი მხედველობაში არ მიიღება, რადგან ასეთი გარბენები ტვირთგადაზიდვად არ მიიჩნევა. დატვირთული ან დაუტვირთავი რეისი რეგისტრაციის ქვეყანაში ან ტრანზიტით მისი გავლით, ითვლება როგორც რეგისტრაციის ქვეყანაში დაბრუნება.

3.17. გადაზიდველი არ შეიძლება დაისაჯოს ორჯერ ერთი და იმავე დარღვევისათვის. 3.16 პუნქტით განსაზღვრული სამ რეისთან დაკავშირებული შეზღუდვების გაუთვალისწინებლობის გამო განმეორებითი დაჯარიმების დაკისრების თავიდან აცილების მიზნით, წევრი ქვეყნის მაკონტროლირებელმა ორგანომ, რომელმაც გამოავლინა დარღვევა და აწესებს სანქციებს, სააღრიცხვო წიგნის „სპეციალური შენიშვნების“ სვეტში უნდა მიუთითოს რეისის რაოდენობა, რომლის შესრულებისას დაშვებული იქნა დარღვევები (მაგალითად, 3+1), ასევე შემოწმების თარიღი და დასვას თავისი ბეჭედი. დამრღვევი ავტოსატრანსპორტო საშუალება შემღებებისდაგვარად მოკლე ვადაში უნდა დაბრუნდეს რეგისტრაციის ქვეყანაში. ამ შემთხვევაში, რაიმე დამატებითი გადაზიდვის განხორციელება ჩაითვლება ახალ დარღვევად.

4. ტმე-ის ნებართვების გამოყენება

4.1. ნებართვა შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის. ნებართვა უნდა ინახებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ბორტზე დატვირთვის (როგორც კი ავტოსატრანსპორტო საშუალება დაიტვირთება) და გადმოტვირთვის (როგორც კი ავტოსატრანსპორტო საშუალება გადმოიტვირთება) პუნქტებს შორის ტვირთის გადაზიდვის მთელ პერიოდში ან დაუტვირთავი გარბენისას, რომელიც წინ უძღვის ან მოსდევს დატვირთულ რეისს.

4.2. ქვეყანა, სადაც დაიტვირთა ავტოსატრანსპორტო საშუალება, შესაძლოა განსხვავდებოდეს დატვირთული საქონლის წარმოშობის ქვეყნისაგან.

4.3. ტმე-ის ნებართვა კაბოტაჟის უფლებას არ იძლევა.

4.4. ნებართვა არ ათავისუფლებს გადაზიდველს სპეციალური ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებული სხვა ნებართვებით განსაზღვრული მოთხოვნებისაგან, ტვირთის ზომის, წონის ან კატეგორიის სპეციფიკაციის მიმართ (მაგალითად, სახიფათო ტვირთების გადაზიდვა).

4.5. ტმე-ის ნებართვა შეიძლება გამოყენებული იქნას დაქირავებული ან იჯარით აღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის, მძღოლის გარეშე, იმ სატრანსპორტო კომპანიების მიერ, რომლებზეც გაიცა ნებართვა. დაქირავებული ავტოსატრანსპორტო საშუალება უნდა იმყოფებოდეს იმ კომპანიის ექსკლუზიურ განკარგვაში, რომელიც იყენებს მას და უნდა იმართებოდეს ამ კომპანიის პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში ავტოსატრანსპორტო საშუალების ბორტზე უნდა ინახებოდეს შემდეგი დოკუმენტები:

4.5.1. იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულება ან დამოწმებული ამონაწერი ხელშეკრულებიდან, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გამქირავებლისა და დამქირავებლის სახელი და გვარი, ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და მოქმედების ვადა, აგრეთვე ავტოსატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომერი (VIN).

4.5.2. იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი არ არის ავტოსატრანსპორტო საშუალების დამქირავებელი, მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ან დამოწმებული ამონაწერი ხელშეკრულებიდან, რომელშიც მითითებული უნდა იყოს დამსაქმებლის დასახელება ან სახელი და გვარი, მძღოლის სახელი და გვარი, ხელშეკრულების გაფორმების თარიღი და მოქმედების ვადა ან ბოლო გადახდის ქვითარი. საჭიროების შემთხვევაში, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების ექვივალენტურ შემცველად შეიძლება ჩაითვალოს წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტები. ამ დოკუმენტებს უნდა დაერთოს თარგმანი ინგლისურ, ფრანგულ ან გერმანულ ენაზე.

4.6. სატრანსპორტო კომპანიას უფლება არ აქვს გადასცეს ტმე-ის ნებართვა მესამე მხარეს.

4.7. ნებართვის პირველ გვერდზე მითითებული სატრანსპორტო კომპანიის დასახელება უნდა შესაბამებოდეს გადაზიდვის განმარტოვებული გადაზიდველი კომპანიის დასახელებას.

4.8. იმ შემთხვევაში, თუ რეისის შესრულება იწყება ერთი ერთწლიანი ან მოკლევადიანი ნებართვით და გრძელდება მომდევნო პერიოდისთვის გაცემული სხვა ნებართვით, ორივე ნებართვა უნდა ინახებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ბორტზე მთელი რეისის განმავლობაში.

4.9. დაუშვებელია ტმე-ის ნებართვების, საადრიცხო წიგნების და შესაბამისი სერტიფიკატების ლამინირება ან დამცავი ფირით დაფარვა.

5. სააღრიცხვო წიგნი

5.1. ტმეკ-ის ნებართვის მფლობელმა უნდა აწარმოოს სააღრიცხვო წიგნი (იხილეთ დანართი 7).

5.2. თითოეული ქვეყანა თავის ენაზე ბეჭდავს სააღრიცხვო წიგნებს იმ რაოდენობით, რაც საჭიროა ერთწლიანი ან მოკლევადიანი ნებართვების გამოყენებისთვის. ჩვეულებრივ, ყოველთვიურ ნებართვებს თან ერთვის 5-გვერდიანი სააღრიცხვო წიგნი. რეკომენდებულია, რომ ერთწლიანი სააღრიცხვო წიგნისთვის დაიბეჭდოს 52 თვითკომპირებადი და დანომრილი გვერდი, წელიწადში 52 კვირის მიხედვით.

5.3. სააღრიცხვო წიგნი უნდა გაფორმდეს გადამზიდველის სახელზე და დაუშვებელია მისი სხვა პირებზე გადაცემა.

5.4. სააღრიცხვო წიგნებს უნდა ჰქონდეთ იგივე ნომერი, რაც მათ შესაბამის ნებართვებს და საჭიროებისამებრ მეორადი ნუმერაცია, რადგან ახალი სააღრიცხვო წიგნი გაიცემა მხოლოდ პირველის შევსების შემდეგ. თუ ნომერები ერთმანეთს არ ემთხვევა, ნებართვა შეიძლება ბათილად იქნას ცნობილი.

5.5. შესრულებული სატრანსპორტო ოპერაციების შესახებ ჩანაწერი დგება იმგვარად, რომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იქნას ნაჩვენები თითოეული რეისი დატვირთვისა და გადმოტვირთვის პუნქტებს შორის, აგრეთვე თითოეული დაუტვირთავი გარბენი, რომლის დროსაც ხდება საზღვრის გადაკვეთა. ჩანაწერებში შეიძლება შეტანილი იქნეს აგრეთვე ტრანზიტული პუნქტები, თუმცა ეს მოთხოვნა სავალდებულო არ არის.

5.6. სააღრიცხვო წიგნი უნდა შეიცავდეს თითოეული დატვირთული რეისის დაწყების წინ, ტვირთის ყოველი დატვირთვისას და გადმოტვირთვისას, აგრეთვე თითოეული დაუტვირთავი რეისისათვის.

5.7. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი რეისის შესრულებისას დატვირთვა ან გადმოტვირთვა ხდება სხვადასხვა ადგილებში, შესაბამისი ეტაპები აღნიშნება ნიშნით „+“ პირველ, მე-2, მე-3, მე-5 და მე-6 სვეტებში. მაგალითად, სვეტი 2 ა) დატვირთვის ადგილი: ვენტსპილსი + რიგა + ბაუსკა; სვეტი 5 საერთო წონა: 12 + 5 + 5.

5.8. ნებისმიერი შესწორება ისე უნდა გაკეთდეს, რომ პირვანდელი სიტყვები და ციფრები ადვილად გასარჩევი იყოს.

5.9. კომპეტენტურ მაკონტროლირებელ ოფიციალურ პირებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ, რომ სააღრიცხვო წიგნში დასმული იყოს ყველა ტრანზიტული ქვეყნის ბეჭედი, მაგრამ შეუძლიათ თავიანთი ბეჭდები დასვან სააღრიცხვო წიგნში ნებისმიერი შემოწმების შემდეგ. არ არის სავალდებულო, რომ ტმეკ-ის ნებართვის მფლობელ პირს სააღრიცხვო წიგნში ჰქონდეს დასმული ყველა სატრანზიტო ქვეყნის ბეჭედი.

5.10. 4.8 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევაში, იმ ნებართვის სააღრიცხვო წიგნი, რომლითაც დასრულდა რეისი, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მთელი რეისის შესახებ და სვეტში „სპეციალური შენიშვნები“ უნდა მიეთითოს იმ ნებართვის ნომერი, რომლითაც დაიწყო რეისი.

5.11. ნებართვა, სააღრიცხვო წიგნი და „EURO IV უსაფრთხო“, „EURO V უსაფრთხო“, „EEV უსაფრთხო“¹² ან „EURO VI უსაფრთხო“ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სერტიფიკატები უნდა ინახებოდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების ბორტზე და

¹ „EEV უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებები ცალკე კატეგორიად არ განიხილება ტმეკ-ის მრავალმხრივ კოტაში. ტმეკ-ის მრავალმხრივი ნებართვის საფუძველზე მომუშავე „EEV უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებას შეიძლება ერთვოდეს ტმეკ-ის ნებართვა განკუთვნილი „EURO V უსაფრთხო“ კატეგორიისთვის.

მოთხოვნისამებრ უნდა წარედგინოს კომპეტენტურ მაკონტროლირებელ ოფიციალურ პირებს შესაძლებლად. მაკონტროლირებელ ორგანოებს უფლება აქვთ სააღრიცხვო წიგნში მიუთითონ თავიანთი ბეჭედი.

5.12. შევსებული სააღრიცხვო ფურცლების პირველი პირი რჩება სააღრიცხვო წიგნში ნებართვაში მითითებული ვადის ამოწურვამდე. ერთწლიანი ნებართვის შემთხვევაში, მოხდება შევსებული ფურცლების ასლების ამოღება და გაგზავნა კომპეტენტური უწყების ან ორგანოს მიმართ ყოველი კალენდარული თვის დასრულებიდან ორი კვირის განმავლობაში. მოკლევადიანი ნებართვები კი ეგზავნება კომპეტენტურ უწყებას ან ორგანოს მათი მოქმედების ვადის ამოწურვიდან ორი კვირის განმავლობაში.

5.13. კომპეტენტური ორგანო ვალდებულია შეინახოს შევსებული სააღრიცხვო ფურცლები მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში.

5.14. ამ გზით მიღებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ნებართვით სარგებლობის შემოწმების მიზნით. იგი არ შეიძლება გამოყენებული იქნას საგადასახადო მიზნებისთვის ან პირადი ინფორმაციის გასავრცელებლად.

6. ქმედუნარიანობა და ჩამორთმევა

6.1. ნებართვა ქმედუნაროდ მიიჩნევა, თუ მასზე წაუშლელად არ არის დატანილი შემდეგი სავალდებულო მონაცემები:

- სატრანსპორტო კომპანიის მფლობელის გვარი ან კომპანიის დასახელება და მისი სრული მისამართი;
- ნებართვის გამცემი ორგანოს ხელმოწერა და ბეჭედი;
- ნებართვის მოქმედების ვადის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
- ნებართვის გაცემის თარიღი.

6.2. დაკარგულად ენობილი და გამოცვლილი, მაგრამ შემდგომში ნაპოვნი ნებართვა ითვლება ძალადაკარგულად. ასეთი ნებართვის გამოყენება გამოცვლილი ნებართვის პარალელურად ისეგება ორივე ნებართვის ჩამორთმევით კომპეტენტური ორგანოს მიერ.

6.3. ნებართვები, რომლებსაც თან არ ერთვის ჯეროვნად შევსებული სააღრიცხვო წიგნი და გამოყენებული ნებართვების შესაბამისი ქმედუნარიანი სერტიფიკატები „EURO IV უსაფრთხო“, „EURO V უსაფრთხო“ ან „EURO VI უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, ასევე ქმედუნაროდ მიიჩნევა.¹³

6.4. უფრო მაღალი კატეგორიის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებს (მაგალითად, „EURO V უსაფრთხო“) შეუძლიათ გამოიყენონ უფრო დაბალი კატეგორიის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების (მაგალითად, „EURO IV უსაფრთხო“) ნებართვები, მაგრამ არა პირიქით.

6.5. ნებართვები ქმედუნაროდ მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ ადგილზე შემოწმება გამოავლენს, რომ დარღვეულია შესაბამისი კატეგორიის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის დადგენილი მოთხოვნები გამონაბოლქვის ან უსაფრთხოების მიმართ.

6.6. კომპეტენტური ორგანოების მიერ ნებართვების ჩამორთმევა ხდება ტმეკ-ის ნებართვებით სარგებლობის სერიოზული ან არაერთგვარადი დარღვევის, სოციალური ნორმების ან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის, აგრეთვე არასაკმარისი გამოყენების ან მხოლოდ პერიოდული გადაზიდვებისათვის გამოყენების შემთხვევებში.

6.7. მხოლოდ დაკარგული ან მოპარული ტმეკ-ის ნებართვის გამოყენების შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში თუ ნებართვას იყენებს სხვა გადაზიდველი, რომლის მიმართაც ის არ არის გაცემული, ასევე გაყალბებული ან ვადაგასული ნებართვა ან სერტიფიკატი დაუყოვნებლივ უნდა იქნას ამოღებული ხმარებიდან და როგორც დამატკიცებელი საბუთი გამოყენებული იქნას ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მისაღებად. ნებართვის ან სერტიფიკატის ასლი - თუ არ არის საჭირო ეროვნული პროცედურებისთვის - ორიგინალი შესაბამის ინფორმაციასთან ერთად დაუყოვნებლივ (30 დღის განმავლობაში¹⁴) გადაეცემა გადაზიდველის რეგისტრაციის ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს.

6.8. თუ ტმეკ-ის მრავალმხრივი ნებართვის მფლობელმა გადაზიდველმა არაერთგვარადად ჩაიდინა დარღვევები ან გააყალბა რაიმე დოკუმენტი ტმეკ-ის

¹ EEV უსაფრთხო“ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატების გამოყენება შეიძლება „EURO V უსაფრთხო“ (ან უფრო დაბალი „EURO IV უსაფრთხო“) კატეგორიის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილ ნებართვებთან ერთად. „EURO III უსაფრთხო“ კატეგორიის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესატყვისობის სერტიფიკატების გამოყენება მრავალმხრივი კვტების სისტემაში შესაძლებელია ორწლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

² იტალიამ გააკეთეს დათქმა 30-დღიანი ვადის მიმართ.

ნებართვების გამოყენებასთან დაკავშირებით, ამ გადაზიდვებზე არ გაიცემა ტმეკ-ის ნებართვა მინიმუმ ორი წლის განმავლობაში.

7. გაუქმება და შეცვლა

7.1. ჩამორთმეული ან ჩაბარებული ნებართვები შეიძლება ხელმოწერედ გაიცეს სხვა გადაზიდვებზე დარჩენილი მოქმედების ვადით. ასეთ შემთხვევაში, ჯერ უნდა გაუქმდეს ჩამორთმეული ან ჩაბარებული ნებართვები და შემდგომ უნდა შეიცვალოს სარეზერვო ნებართვებით.

7.2. ნებართვის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ნებართვის გამცემ კომპეტენტურ უწყებას ან ორგანოს. იგი შეიძლება შეიცვალოს სხვა ნებართვით მოქმედების დარჩენილი ვადით.

7.3. გაუქმებული და შეცვლილი, მოპარული ან დაკარგული ნებართვების და მათი შემცვლელი ნებართვების ნომრები უნდა გადაეცეს სამდივნოს, რომელიც, თავის მხრივ, ინფორმაციას მიაწვდის წევრ ქვეყნებს.

8. ურთიერთდახმარება

8.1. წვერი ქვეყნები ერთმანეთს დახმარებას უწევენ ნებართვებით სარგებლობის მარეგულირებელი დებულებების გამოყენებაში, მათი დაცვის მონიტორინგსა და დარღვევისას შესაბამისი სანქციების ამოქმედებაში.

8.2. თუ წვერი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოსთვის ცნობილი გახდება, რომ სხვა წვერი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ტმეკ-ის ნებართვის მფლობელმა დაარღვია ნებართვის გამოყენების პირობები, წვერმა ქვეყანამ, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა დარღვევა, ამის შესახებ უნდა აცნობოს სამდივნოს და გადააზიდევის რეგისტრაციის ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, რათა მათ მიიღონ ზომები შესაბამისი სანქციების ასამოქმედებლად (ნებართვის ჩამორთმევის ჩათვლით).

8.3. შესაბამისი ორგანოები ვალდებული არიან, დარღვევის გამოვლენიდან სამი თვის ვადაში გაუგზავნონ ერთმანეთს და სამდივნოს ინფორმაცია და დოკუმენტები დარღვევის გამო გამოყენებული ან სავარაუდო სანქციების შესახებ, რის შემდეგაც სამდივნო ზემოაღნიშნულის შესახებ აცნობებს ყველა წვერ ქვეყანას.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ მრავალმხრივი კვლევების სისტემაში მონაწილე ტმეკ-ის წვერი ქვეყანა არაერთგზის არღვევს სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა დებულებების მოთხოვნებს, მოსარჩელე ორგანო შესაბამის განცხადებას შეადგენს და წარუდგენს სამდივნოს. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმის შესწავლა და ქვეყნისთვის მიკუთვნებული ნებართვების მოქმედების შეჩერების ან ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა ეკისრება საავტომობილო ტრანსპორტის ორგანოს ან, პოტენციურად, ტრანსპორტის მმართველთა საბჭოს.

8.5. ეს გახლავთ მინიმალური დებულებები, რომლებიც უნდა შესრულდეს კვოტის სისტემის ეფექტური მართვის მიზნით.

9. "EURO IV უსაფრთხო" კატეგორიის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საშუალების სქემა „EURO IV უსაფრთხო“ კატეგორიის ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებული მოთხოვნებია:

ავტოსატრანსპორტო საშუალების ხმაურის გამოყოფა

(UNECE-ს R51.02 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების თანახმად, ან 70/157/EEC დირექტივის შესაბამისად, რომელიც შესწორებულია 1999/101/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით).

77 დბ (ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის < 75 კვტ სიმძლავრით

78 დბ (ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ≥ 75 კვტ და < 150 კვტ სიმძლავრით

80 დბ (ა) ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის ≥ 150 კვტ სიმძლავრით

დიზელის ძრავების ქიმიური გამონახოლქვი

(გაზომილი ESC და ELR ტესტების ციკლით UNECE-ს R49.03 წესის B1 სტრიქონის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 88/77/EEC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 2001/27/EC დირექტივის B1 სტრიქონით, ან 2005/55/EC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 2005/78/EC დირექტივით B1 სტრიქონის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით)¹⁵

CO	1.5	გ/კვტ.სთ
HC	0.46	გ/კვტ.სთ
NOx	3.5	გ/კვტ.სთ
ნაწილაკები	0.02	გ/კვტ.სთ
კვამლი	0.5	მ ³

(გაზომილი ETC ტესტების ციკლით UNECE-ს R49.03 წესის B1 სტრიქონის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 88/77/EEC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 2001/27/EC დირექტივის B1 სტრიქონით, ან 2005/55/EC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 2005/78/EC დირექტივით B1 სტრიქონის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით)¹

CO	4.0	გ/კვტ.სთ
NMHC	0.55	გ/კვტ.სთ
CH ₄ ¹⁶	1.1	გ/კვტ.სთ
NOx	3.5	გ/კვტ.სთ
ნაწილაკები ¹⁷	0.03	გ/კვტ.სთ

მინიმალური ტექნიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და მათ მისაბმელებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ 2 მმ პროტექტორის ნახატის სიმძლავრის მქონე საბურავები. UNECE-ს R54.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 92/23/EEC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 2005/11/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით, ხოლო აღდგენილი პროტექტორის მქონე საბურავების შემთხვევაში, UNECE-ს R109.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით.

2. ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებს (გარდა ნახევარმისაბმელი საწვეარებისა) და მათ მისაბმელებს, როგორც ეს მითითებულია წარმოდგენილ რეგლამენტებში, უნდა ჰქონდეთ უკანა გარბენისგან დამცავი მოწყობილობა, UNECE-ს R58.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 70/221/EEC დირექტივის, რომელიც

¹ B1-ის, B-ს ან C-ს მნიშვნელობა აღიარების ნომერში.

² მხოლოდ ბუნებრივ გაზზე მომუშავე ძრავებისთვის.

³ არ გამოიყენება გაზზე მომუშავე ძრავების, A და B1 სტრიქონების მიმართ.

შესწორებულია 2000/8/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით.

3. ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებს (გარდა ნახევარმისამბელი საწვეარებისა) და მათ მისაბმელებს, როგორც ეს მითითებულია წარმოდგენილ რეგლამენტებში, უნდა ჰქონდეთ გვერდითი გარბუნისგან დამცავი მოწყობილობა, UNECE-ს R73.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 89/297/EEC დირექტივის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით.

4. ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ უკანა ხედვის სარკე, UNECE-ს R46.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 71/127/EEC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 88/321/EEC დირექტივით ან 2003/97/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით.

5. ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებს და მათ მისაბმელებს უნდა ჰქონდეთ განათების და მამუქი სასიგნალო მოწყობილობა, UNECE-ს R48.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 76/756/EEC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 91/663/EEC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით.

6. ავტოსატრანსპორტო საშუალებები უნდა იყენებდნენ ტაქოგრაფს, UNECE-ს AETR შეთანხმების ან მისი შემდგომი რედაქციების, ანდა საბჭოს (EEC) №3821/85 წესის, რომელიც შესწორებულია (EC) №2135/98 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან კომისიის (EC) №1360/2002 და №432/2004 წესების ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით.

7. ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ სიჩქარის შემზღუდავი მოწყობილობები UNECE-ს R89.00 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 92/24/EEC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 2004/11/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით.

8. მაღალი ტვირთაწეობის და გრძელ ავტოსატრანსპორტო საშუალებებს უნდა ჰქონდეთ უკანა შუქამრეკლავი ამოსაენობი ნიშნები UNECE-ს R70.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების შესაბამისად.

9. ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებს და მათ მისაბმელებს უნდა ჰქონდეთ მუხრუჭების ანტიბლოკირების სისტემა (UNECE-ს R13.09 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 71/320/EEC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 98/12/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით).

10. ძრავიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებს და მათ მისაბმელებს უნდა ჰქონდეთ საჭით მართვის მექანიზმი, UNECE-ს R79.01 წესის ან სხვა შესაბამისი ცვლილებების, ან 70/311/EEC დირექტივის, რომელიც შესწორებულია 1999/7/EC დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებების მიხედვით.

11. ძრავიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მათი მისაბმელები უნდა ავმაყოფილებდნენ გზისთვის ვარგისობის ტესტთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია 2009/04/EC დირექტივით, რომელიც შესწორებულია კომისიის 2010/48/EU დირექტივით ან სხვა შესაბამისი ცვლილებებით, ან წარმოდგენილია 1997 წლის 13 ნოემბრის UNECE შეთანხმებასა და მის შემდგომ რედაქციაში, თვლიან ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული ერთგვაროვანი ტექნიკური მოთხოვნებისა და აღნიშნული საკონტროლო ღონისძიებების ურთიერთალიარების პირობების შესახებ, 2001 წლის 13 ნოემბერს დასრულებული სახით, ან წარმოდგენილია UNECE შემაჯამებელ რეზოლუციაში R.E.1 (TRANS/SC.1/294/Rev.5), 2001 წელს განხორციელებული ცვლილებით (TRANS/WP.1/2001/25), ან შემდგომი რედაქციით. აღნიშნული დირექტივების თანახმად, გზისთვის ვარგისობაზე ტესტირება უნდა

ჩატარდეს ყოველწლიურად, რათა სერტიფიკატი არ იყოს 12 თვეზე ძველი.¹⁸

